



საქართველოს განათლების,  
მეცნიერების, კულტურისა  
და სპორტის სამინისტრო  
MINISTRY OF EDUCATION,  
SCIENCE, CULTURE  
AND SPORT OF GEORGIA

პროექტის მხარდამჭერია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

პრეს რილიზი

## არტისტერიუმი 13 / 2020

თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა

გახსნა: 20 ნოემბერი, 18:45, 2020

2020 წლის არტისტერიუმი პირველად ფესტივალის ისტორიაში, ონლაინ იმართება. გადაწყვეტილება პროექტის ვირტუალურ სივრცეში ჩატარების შესახებ განსაკუთრებულად აქტუალური იმ პერიოდში გახდა, როდესაც ცნობილი მიზეზების გამო, საქართველოში, და არა მხოლოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურული, სოციალური, ეკონომიკური, თუ სხვა გამოვლინება რეალურ სამყაროში საგრძნობლად შეფერხდა და მისმა დიდმა ნაწილმა ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლა.

ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა სახელოვნებო სექტორი. დღევანდელი, უჩვეულო სიტუაცია, როდესაც პირველი რიგის პრობლემა თავყრილობაა, რთულ გარემოებად იქცა ხელოვანისთვის და დროსთან შესაბამისი მხატვრული ფორმების გამოყენების აუცილებლობისკენ უბიძგა მას. ამიტომ დღეს, ციფრული ფორმატი, ყველაზე რელევანტურ მედიუმად იქცა, რომელიც არსებულ სიტუაციასთან და ახალ გარემოებებთან ადაპტირებული პროექტის განხორციელების საშუალებას იძლევა.

2020 წლის არტისტერიუმი 5 ნაწილს მოიცავს:

ელექტრონულ სამყაროში „დაკავშირებული ობიექტები“ არის გრაფიკა (ობიექტი), რომელიც საწყის ფაილში ისეთი ალგორითიმთაა „ჩაწერილი“, რომ მის ცვლილებას მოყვება ცვლილება საწყის ფაილთან მიბმულ ყველა სხვა დოკუმენტში.

არტისტერიუმის ფარგლებში ნაჩვენები „დაკავშირებული ობიექტები“ მსოფლიოში ყველაზე მწვავე „ლოქდაუნის“ პერიოდში გადაღებული ვიდეოების სერიაა (მარტი, აპრილი, 2020). პროექტში 35 ნამუშევარია წარმოდგენილი. ვიდეოები იმ განცდებზე გვიყვებიან რომელიც ჩაკეტილობის დროს, პიროვნების სოციალური ცხოვრებიდან გამოთიშვას და საკუთარ პრობლემებთან მარტო დარჩენას ახლავს თან.

მონაწილე მხატვრები: ალი ბრამველი, ფილ დადსონი (ახალი ზელანდია), ალოიზ შილდი, არტ ჯგუფი ბრიგიტა & დანიელა (ავსტრია), ბრუს ალანი (დიდი ბრიტანეთი), კრისტოფერ დოსეტი (საფრანგეთი), ჰანა ბუნი, პოლ დონკერ დუივისი, ჯესი თეო რაჰმანი, ტომ ვინკი, პიტერჟე ვან სპლუნტერი (ნიდერლანდები), დენიზჰან ოზერი (თურქეთი), მაქს ბულმანი, დანიელა დე მადალენა, სუზან მიულერი, ფრედ ლუნგი, ჰანის ეგერი (შვეიცარია), დირკ გრობლერი (სამხრეთ აფრიკა), გაბრიელ ადამსი (აშშ), ილიკო ზაუტაშვილი (საქართველო), ჯეისონ ჰოუკსი, ჯეინ დაერი, კელი შარპი, ლუის შენი (ავსტრალია), ჯოზეფინ ტურალბა

(ფილიპინები), მაიკ უოტსონი & ჯუსი ალარაასაკვა (დიდი ბრიტანეთი/ფინეთი), ანტი ტენეცი (ფინეთი), პარკ ბიონგ უკი, სო იანგი (კორეა), იოკო კაიო (ავსტრალია/იაპონია), საერთაშორისო არტ-ჯგუფი „არასწორი გადაწყვეტილებების თეატრი“, გორდანა ანდელიჩ-გალიჩი (ბოსნია-ჰერცეგოვინა), ნანდინ ერდენი (მონღოლეთი), უნა ჰაილენდი (ირლანდია).

"დაკავშირებული ობიექტები" ორგანიზებულია არტისტერიუმის პარტნიორ, საერთაშორისო გარემოს დაცვითი ხელოვნების სიმპოზიუმთან, Nine Dragon Heads-თან ერთად (სამხრეთ კორეა).

**„ოფლაინ-ონლაინ“**, რეალურ სივრცეში წარმოებული ნამუშევრის ვირტუალურ სივრცეში განთავსების თავისებურებებს იკვლევს და ცდილობს უპასუხოს კითხვებს:

შესაძლებელია თუ არა ნამუშევართან შეხების რეალური გამოცდილების ვირტუალურ სივრცეში

სრულყოფილად გადატანა, ტრადიციული მედიების ციფრულ სივრცეში აღქმის თვალსაზრისით?

რა კავშირია ნამუშევრის წარმოების პროცესსა და რეპრეზენტაციის თავისებურებებს შორის?

გამოფენა, ერთის მხრივ, ისეთ ნამუშევრებს აჩვენებს, რომლებიც ციფრულ მახასიათებელს მოიცავენ და მათი ონლაინ რეპრეზენტაცია არ არის დაკავშირებული რაიმე სირთულესთან (ფოტო, ვიდეო). პროექტი ნაჩვენებია ისეთი ნამუშევრებიც, რომელთა პირველადი სარეპრეზენტაციო სივრცე ფიზიკური გარემოა (ფერწერა, ობიექტი, გრაფიკა, პერფორმანსი).

მონაწილე მხატვრები: მარიამ აქუბარდია, ლია ბაგრატიონი, ანა დედაბრიშვილი, გიორგი მალრაძე, მანუჩარ ოქროსცვარიძე, თორნიკე რობაქიძე, მიხეილ სულაკაური, დავით ჩიხლაძე, ანნა ძიაფშიპა, გურამ წიბახაშვილი, ანნა წოწონავა, ილიკო ზაუტაშვილი (საქართველო), გუუ სანგ კიუნ, ჯიუნ ვანია ოჰ (სამხრეთ კორეა).

**„საგალერეო სივრცე“** - პანდემიით გამოწვეული „ლოქდაუნის“ პირობებში, როდესაც რეალურ სივრცეში ღონისძიებების ჩატარება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, არტისტერიუმის ონლაინ პლატფორმა პარტნიორ გალერეებს წარმოადგენს. ესენია „დედიკას გალერეა“ და გალერეა „კონტინერი“, რომლებიც ბოლო 10 წლის განმავლობაში არტისტერიუმის უცვლელი პარტნიორები იყვნენ. „საგალერეო სივრცის“ სტუმარია გალერეა ავალანში, ბარინგტონი, აშშ.

**სტუმარი პროექტი** - კორეული მუსიკალური ანსამბლის *ოულიმის* (ფორტეპიანო, გიტარა, ჩელო, დასარტყამი, ტრადიციული ინსტრუმენტები) და კორეული ტრადიციული ქორეოგრაფიული ჯგუფის *ეოულ სარანგის* კონცერტია, რომელიც სეულის არტე ჰოლში 2020 წლის 1 ნოემბერს, სპეციალურად არტისტერიუმის ქართველი მაყურებლისთვის გაიმართა. თავდაპირველად პროექტი ჩაფიქრებული იყო როგორც ლაივსტრიმი სეულიდან თბილისის ეროვნული მუზეუმის აუდიტორიუმში შეკრებილი მაყურებლისთვის. თუმცა გლობალური პანდემიის პირობებში, საქართველოში დახურულ სივრცეებში თავშეყრის აკრძალვის გამო, უკვე ჩატარებულ კონცერტს, არტისტერიუმი მაყურებელს გამოფენის ონლაინ პლატფორმაზე სთავაზობს.

**„არქივი“** – არტისტერიუმის 12 წლიანი ისტორიის, 2008 წლიდან გამოცემული კატალოგების, აფიშების და ბანერების ციფრული ვერსიებია.

პროექტის კატალოგი დამზადდა თბილისის მერიის კონკურსის, "შემოქმედებითი თბილისის" მხარდაჭერით.



Artisterium  
Association



თბილისის მერია  
TBILISI CITY HALL



ასოციაცია არტისტერიუმი



საქართველოს განათლების,  
მეცნიერების, კულტურისა  
და სპორტის სამინისტრო  
MINISTRY OF EDUCATION,  
SCIENCE, CULTURE  
AND SPORT OF GEORGIA

The project has been made possible through the financial support of the Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia

## Press Release

### ARTISTERIUM 13 / 2020

Annual International Contemporary Art Exhibition and Art Events

#### Opening: 6:46 pm, November 20, 2020

The **Artisterium** 2020 will be held online for the first time in the history of the festival. The decision to launch the project in the virtual space became especially relevant at a time when, for well-known reasons, cultural, social, economic, or other manifestations of public life in Georgia were more or less delayed in the real world and most of them transferred to the virtual space.

Restrictions on the spread of the virus have posed great challenges, especially in the art sector. The unusual situation of the present-day, when the first problem is gathering people, has become a difficult circumstance for the artists and pushed them to rethink the artistic forms appropriate to the time and to use the suitable means. With this in mind, today the digital format has become the most relevant medium that allows the implementation of a project adapted to the current situation and new circumstances.

The Artisterium 2020 comprises 5 parts:

**Linked Objects.** In the electronic world, on the other hand, the linked object is an object such as a graphic etc., which is included within a document in such a way that it is linked to the source file, so that whenever the source changes, the object automatically updates.

**Linked Objects** is a series of videos shot during the most intense "lockdown" in the world (March, April 2020). The project features the video works of 35 international artists. The videos tell us about the feelings that accompany a period of isolation, disconnection from a person's social life and being left alone while facing the problems.

Participating artists: Ali Bramwell, Phil Dadson (New Zealand), Alois Schild, Brigitte and Daniela (Austria), Antti Tenetz (Finland), Mike Watson & Jussi Alaraasakka (UK/Finland), Bruce Allan (UK), Channa Boon, Ingrid Rollema, Paul Donker Duyvis, Pieterje Van Splunter, Thom Vink, Jessy Theo Rahman (The Netherlands), Josephine Turalba (Philippines), Christophe Doucet (France), Daniela de Maddalena, Susanne Muller, Fred Luedi, Enrique Muñoz Garcia (Switzerland), Max Bühlmann, (Switzerland/Austria), Denizhan Ozer (Turkey), Diek Grobler (South Africa), Gabriel Adams (USA), Gordana Andjelic-Galic (Bosnia/Herzegovia), Hannes Egger (Italy), Jason Hawkes, Jayne Dyer, Lois Schenk, Kelli Sharp (Australia), Ilika Zautashvili (Georgia), Nandin Erdene (Mongolia), Oona Hyland (Ireland), So Young, Park Beyond Uk (South Korea), Yoko Kajio (Australia/Japan).

Linked Objects is organized in collaboration with the International Environmental Art Symposium **Nine Dragon Heads**.

**Offline-Online** explores the peculiarities of placing a work produced in real space into a virtual space and tries to answer the following questions: Is it possible to completely transfer the real experience of touching the work to the virtual space, in terms of the perception of traditional media (painting, installation, object, etc.) in the digital space? What is the link between the production process of the work and the characteristics of the representation?

The exhibition showcases the works that include digital features, the online representation of which is not associated with any difficulty. The project also shows the works whose primary representation space has always been a real, physical environment (painting, object, drawing, performance).

Participating artists: Mariam Aqubardia, Lia Bagrationi, Goo Sung Kyun, Ana Dedabrishvili, Giorgi Maghradze, Manuchar Okrostsvardze, Tornike Robakidze, Mikheil Sulakauri, David Chikhladze, Anna Dziapshipa, Guram Tsibakhashvili, Anna Tsotsonava, Jihyun Vania Oh.

**Gallery space** - In the context of the pandemic "Lockdown", when conducting events in real space is associated with certain difficulties, the online platform of the Artisterium is dedicated to the partner galleries. These are Dedicace Gallery and the Container Gallery, which have been the Artisterium's partners for the past 10 years.

Container Gallery presents Giorgi Shengelia, Vakhtang Khetaguri, Tinatin Kiguradze, Nata Sopromadze, Rita Khachatryan, Saba Gorgodze and Sanan Aleskerov.

This year, for the first time, the Artisterium hosts the Avalanche Art Space. Avalanche Art Space, as a force of culture, aims to deliver a spectrum of radical arts programming that explores what is possible within Art. Established in 2019, Avalanche is international in scope and hosts exhibitions, performances, lectures, and workshops.

**Guest Project** - Video recording of the concert of the Korean music ensemble Oulim (piano, guitar, cello, drums, traditional instruments) and the Korean traditional choreographic group Eoul Sarang, which was held specifically for the Georgian audience of the Artisterium, on November 1, 2020, at Art Hall, Seoul.

The project is organized by Marisori Music Institute, S. Korea.

**Archive** - this part of the project represents the Artisterium's 12-year history through the digital versions of the catalogs, photos and banners published so far within the project.

The catalog of the project has been published with the financial support of the Creative Tbilisi, the contest of the Tbilisi City Hall.